საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (მისამართი ქ.თბილისი , მუხიანის დასახლება სასაწყობო მეურნეობა „ბაზა #2“-ის შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის პროექტის კონცეფცია

სარეკონსტრუქციო შენობა წარმოადგენს გასული საუკუნის საბჭოთა პერიოდის ტიპიურ სასაწყობო ნაგებობას კოლონებითა და ფერმული გადახურვებით, კედელების შემავსებლად გამოყენებულია აგურის წყობა. დღეისათვის შენობა ავარიულ-ამორტიზებულია. წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ნაგებობა განიცდის ჯდენით დეფორმაციებს, გამოკვლეული და შესწავლილი უნდა იქნეს შენობის კონსტრუქციული მდგომარეობა

გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ დამკვეთის მიერ მოცემული საპროექტო დავალების მიხედვით დამუშავდება შენობის შიდა გეგმარება, სადაც გათვალისწინებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები. აგრეთვე დამუშავდება შენობის არქიტექტურული ვიზუალიზაციის პროექტი, თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალებით. გათვალისწინებული იქნება დასაქმებული პერსონალისთვის აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, დასასვენებელი კუთხეების გამოყოფა. მაღარალ დონეზე იქნება შესრულებული ტერიტორიის კეთილმოწყობისა და მისასვლელი გზების მოკირწყვლის სამუშაოები, შენარჩუნებული იქნება არსებული ნარგავები , მოეწყობა ავტოპარკინგი და ახალი სარეკრეაციო კუთხეები, დამონტაჟდება თანამედროვე განათების სისტემები.

წარმოდგენილი კომფიუტერული ვიზუალიზაცია (რენდერები) პირობითია.

არქიტექტორი; ზურაბ გიგაური.













კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
COMPETITION AND STATE PROCUREMENT AGENCY

თქვენი რეკლამა

დეტალური ინფორმაცია

N	985
დასახელება	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს (ქ. თბილისის მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობა „ბაზა 2"-ის შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე.
შემსყიდველი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საიდინტიფიკაციო კოდი	204862078
გამოცხადების თარიღი	04-10-2013 11:33
წინადადების მიღება იწყება	11-10-2013
სტატუსი	წინადადებების მიღება დაწყებულია
შენიშვნა	„საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს: გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი; შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი; კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი; საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე პირი არ დაიშვება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად."
მიმაგრებული ფაილი	contest_n985

სტატუსების ისტორია

სტატუსი	თარიღი
კონკურსი გამოცხადებულია	04-10-2013 11:33
წინადადებების მიღება დაწყებულია	11-10-2013 11:46

თქვენი რეკლამა
თქვენი რეკლამა
კონკურსის ჩატარების წესი
თქვენი რეკლამა
თქვენი რეკლამა

© 2013 სახელწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ–გვერდი. ყველა უფლება დაცულია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

   შესყიდვის ობიექტია: ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობა ,,ბაზა 2''-ის შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

   საპროექტო მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 11700 (თერთმეტიათას შვიდასი) ლარს.

2. კონკურსში მონაწილეობის საფასური:
   2.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე (www.procurement.gov.ge).
   2.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

   დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
3. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 11 ოქტომბერს 15:00 საათზე.
   დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილების შესახებ და საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 11 ოქტომბერს 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0114, ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა #16, მე-8 სართული, მე-9 ოთახი.
4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
5. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
6. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს კონკურსანტის მიერ, ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.
7. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

8. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
9. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

9.1 იმ პირ(ებ)ის გამოცდილება გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაში, ვინც უშუალოდ უნდა მოახდინოს ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობა ,,ბაზა 2''-ის შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება – 0.3;

9.2 საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.7 .

შენიშვნა: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

10 კონკურსი ტარდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის საფუძველზე.

11 დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში,
საკონტაქტო პირი: მაკა სოხაძე, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი;
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა #16, მე-8 სართული, მე-9 ოთახი;
ტელეფონი: 022 2 261 336.